პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 220 (4730)

1972 წ. 5 ნოემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

* * *

სურათზე: სპორტის სასახლის საერთო ხედი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.)

სპორტული ზეიმი თელავში

იმ დღეს ბევრი სპორტის მოყვარული მოვიდა თელავის სტადიონზე, სადაც დიდი ზეიმი გაიმართა. მრავალფეროვანი პროგრამით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „კოლმეურნისა“ და განათლების განყოფილების სპორტსმენები.

100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის პირველობა დაისაკუთრა ა. გვიმრაძემ, ქალებში იმარჯვა ი. დემუროვამ, გ. ონიკაშვილმა 1500 მეტრის გარბენას 4 წუთი და 22,3 წამი მოანდომა.

შეჯიბრებები ჩატარდა, აგრეთვე, სიმაღლეზე ხტომაში, სიმძიმეების აწევაში, ფარიკაობაში, კრივში, ქართულ ჭიდაობაში, მშვილდოსნობაში.

* * *

სურათებზე: მშვილდოსნები დ. ბეჟანიშვილი და ვ. მამაცაშვილი სარბიელზე; ხალიჩაზე არიან მოჭიდავეები ა. ბათურიშვილი და ტ. ქოჩიშვილი.

ა. კაკაბაძის ტექსტი და ფოტოები.

ეს კი ასეა — ეს

● ტოლიატი, 4 ნოემბერი. მოჭადრაკე ქალთა სსრ კავშირის ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა: ა. ეპშტეინმა (ბორჯომი) მოუგო რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს ლ. საუნინას (სვერდლოვსკი), ყაიმზე შეთანხმდნენ ე. რუბცოვა (მოსკოვი) — ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) და ი. ლევიტინა (ლენინგრადი) — მ. რანიკუ (ტალინი). შვიდი პარტია გადაიდო.

სსრ კავშირის თასი წყალბურთში

დამსახურებული გამარჯვება

ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ცნობილი გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები, სხვა საპრიზო ადგილის მფლობელნი, გუნდი, რომელიც გაისად უფრო დაბალ ლიგაში ითამაშებს. მაგრამ წამყვან წყალბურთელთა კოლექტივებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც სპორტის ამ სახეობის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით სხვადასხვა ქალაქის 16 გუნდი დაუშვეს.

თბილისის დინამოელების პირველი მეტოქეები მოსკოველი თანაკლუბელები იყვნენ. მატჩი გუშინ გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „ლოკომოტივის“ საზაფხულო აუზში.

ეს საინტერესო მატჩი თითქმის მაყურებლების გარეშე ჩატარდა. ამ დღეს თბილისში საკმაოდ ცივა და ღია საცურაო აუზის ტრიბუნებზე ჯდომა მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო. საინტერესოა, რატომ არ უმასპინძლა წყალბურთელებსა და სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს ზამთრის საცურაო აუზმა? ნუთუ ძნელი იყო ამ სარბიელის საკავშირო მატჩისთვის მომზადება. 11 ნოემბერს სსრ კავშირის თასზე თბილისის დინამოელებს რომ ჩვენს დედაქალაქში მოუწიოთ თამაში, კვლავ „ლოკომოტივის“ სარბიელზე აპირებენ ამ ღონისძიების გამართვას?

ახლა მატჩის მიმდინარეობის შესახებ. თამაში დაიწყო თუ არა, მოსკოველმა ნ. როდიონოვმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. პირველ წუთებში თბილისელები ოდნავ ინერტულად მოქმედებდნენ, რითაც მეტოქეებს კარის დაცვას უადვილებდნენ, თუმცა ნ. კურტანიძეს და ო. იოსელიანს შეეძლოთ მოსკოველთა კარის ალება, მაგრამ მათ ოდნავ იჩქარეს და მოსკოველებმა შეძლეს საფრთხის უვნებელყოფა. წუთშესვენების შემდეგ ჩვენი დინამოელები უფრო გააქტიურდნენ, რამაც სასურველი შედეგიც გამოიღო: ჯერ იოსელიანმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ კურტანიძემ დააწინაურა თავისი გუნდი.

მესამე პერიოდში უპირატესობა მთლიანად ხელთ იგდეს თბილისელმა წყალბურთელებმა. ჯერ კვლავ იოსელიანმა გაზარდა ანგარიში, ხოლო შემდეგ ვ. ისელიძემ თითქმის აუზის ცენტრიდან მეოთხე ბურთი გაიტანა. მოსკოვის „დინამოს“ გამოცდილი კოლექტივი თბილისელთა ასეთ მძლაურ შტურმს ალბად არ ელოდა და მათს რიგებში დაბნეულობამ იჩინა თავი. პარტნიორები ერთმანეთს ვერ უგებდნენ, რის გამო უთავბოლოდ კამათობდნენ და უხეშ თამაშსაც არ ერიდებოდნენ. ერთერთ მომენტში ე. ჩიქვანაია უხეშად ეთამაშა იოსელიანს და ამ უკანასკნელმა ზუსტად ტყორცნა 4-მეტრიანი საჯარიმო — 5:1.

ბოლო პერიოდში მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს (ვ. კოსოვი, კურტანიძე) და მატჩი თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა — 6:2. ჩვენი „დინამო“ სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში გავიდა.

ზ. ჯანდიერი.

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენს ქალაქში ★ ავტომობილისტები

ყალმუხეთის დედაქალაქის — ელისტის „ავტომობილისტის“ სპორტსმენებმა ქვეყნის მოტობურთელთა გუნდებს შორის უველაზე მეტი საპატიო ტიტული მოიპოვეს. სსრ კავშირის ხამგზის ჩემპიონმა, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულმა გუნდმა სსრ კავშირის თასის გათამაშების წლევანდელ შეჯიბრებაშიც იმარჯვა: ნახევარფინალში დაამარცხა „ომსკი“, „ავტომობილისტი“ და ფინალში გავიდა.

სურათზე: „ავტომობილისტი“. მარცხნიდან — ვ. კუზიჩენკო, ნ. ანიშჩენკო, მეკარე ნ. ბელიავცევი, ვ. კრავცოვი, ნ. ნაგაიკინი, მწვრთნელი ვ. კონდრატენკო, ი. ჩუდიკოვი.

ვ. ეონოგის ფოტო (საკდესი).



ქარხნის ფიზკულტურელთა ახალი ბინა

კუიბიშევის საავიაციო ქარხანაში მწყობრში ჩადგა შესანიშნავი ბანა — სპორტის სასახლე. მის მშენებლობაში ქარხნის მუშა-მოსამსახურეებიც მონაწილეობდნენ.

ბეტონის, ლითონისა და მინისგან ნაგები შენობა დარბაზით 10000 კვადრატულ მეტრზე მეტია. მთავარი სპორტული სარბიელი (4000 კვ. მ) ტარტანითაა დაფარული და მწვანე, ამალახებული მინდორს ჰგავს. ქარხნის მუშებმა თვითონ გააკეთეს ელექტროტაბლო, რომელიც დედაქალაქის სტადიონებსაც კი შეშურდებათ.

დარბაზი სწრაფად შეიძლება „გადაკეთდეს“ კრებებისა და კონცერტების ჩასატარებლად. ვრცელ ფოიეში ახალგაზრდული საღამოებიც მოეწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური წერილი

სხეულის წონა — სპორტული ფორმის მაჩვენებელი

მედიცინის თვალსაზრისით, ადამიანი მიჩნეულია ჯანმრთელად, თუ მის სხეულში რაიმე ორგანული ან ფუნქციური დარღვევა არ აღინიშნება. გასაგებია, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჯანმრთელი ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობა მუდამ ერთნაირი როდია. ეს დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, პირველ ყოვლისა კი სხეულის წონაზე. ყოველი ადამიანისთვის არსებობს ერთი გარკვეული წონა, რომლის დროსაც ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესები უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს. ამ წონიდან მცირეოდენი გადახრაც კი ორგანიზმის ფუნქციური უნარის დაქვეითებას იწვევს.

საზოგადოდ, ადამიანის წონა დამოკიდებულია მის წლოვანებასა და აღნაგობაზე, სახელდობრ, სიმაღლეზე, გულმკერდის გარშემოწერილობაზე, ძვლოვანი, კუნთოვანი და ცხიმოვანი ქსოვილის რაოდენობაზე, აგრეთვე, ფიზიკური განვითარების ზოგიერთ სხვა მაჩვენებელზე.

ადამიანისთვის სასურველი წონის დადგენის მიზნით ბევრი ინდექსი და ფორმულა არსებობს. მათ შორის პრაქტიკაში ყველაზე მეტად გამოიყენება ბროკის ინდექსი, რომელიც რამდენადმე შეცვალა ბრუგშმა. ამ მეთოდით თითოეული ადამიანის სასურველი წონის განსაზღვრისთვის სიმაღლეს 165 სმ-დე უნდა გამოაკლდეს 100, 165-დან 175 სმ-მდე — 105, ხოლო 175 სმ-ზე მეტი სიმაღლის შემთხვევაში — 110. უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი წონის გამოანგარიშების ეს მეთოდი უზუსტოა (14 პროცენტამდე შეიძლება დაშვებული იქნეს შეცდომა) და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების წონის განსაზღვრისთვის მიუღებელია.

მოჰიდავეთა ოპტიმალური, ანუ „საბრძოლო" წონის განსაზღვრისთვის ფიზკულტურის ცენტრალურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შექმნა სპეციალური ცხრილი სპორტსმენის სიმაღლის, ასაკის, აგრეთვე, სპორტული ფორმისა და საუკეთესო შედეგების გათვალისწინებით. ცხრილში მოცემულია ნებისმიერი სიმაღლისა (160-დან 185 სმ-მდე) და წლოვანების (21-დან 35 წლამდე) სპორტსმენის ოპტიმალური წონა კილოგრამებში და დასაშვები გადახრები, რაც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნოს.

გასაგებია, რომ წვრთნის სხვადასხვა პერიოდში სპორტსმენისთვის ერთი და იგივე წონის შენარჩუნება შეუძლებელია და არც არის სასურველი. როგორც წესი, გარდამავალ პერიოდში სპორტსმენის წონა უფრო მეტია, ვიდრე საშეჯიბრებო პერიოდში. ამას გარდა, ტრავმისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო ინტენსიური წვრთნის შედარებით ხანგრძლივი დროით შეწყვეტა სპორტსმენის სხეულის წონის მატებას იწვევს. ყველა იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენის სხეულის წონა მომატებულია, ზოგჯერ კი სპორტის რამდენიმე სახეობაში (ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა) უფრო მაღალი წონითი კატეგორიიდან დაბალში გადასვლის მიზნით წონის ეგრეთ წოდებულ ხელოვნურ დაკლებას მიმართავენ.

არსებობს წონის ხელოვნური დაკლების სხვადასხვა წესი, მაგრამ მოჭიდავეები უფრო ხშირად იყენებენ სითბურ პროცედურებს, — ორთქლისა (რუსულ) და მშრალ (ფინურ) აბანოს. დადგენილია, რომ ოფლი უფრო მეტი რაოდენობით იმ შემთხვევაში გამოიყოფა, როცა ორთქლის აბანოს ტემპერატურა ცელსიუსით 60 გრადუსს უდრის. აბანოში შესვლამდე საჭიროა მივიღოთ თბილი შხაპი ისე, რომ თავი არ დავისველოთ (სასურველია დავიხუროთ შალის სპორტული ქუდი). აბანოში შესვლისას 3-4 წუთის განმავლობაში უნდა გავჩერდეთ ქვემო საფეხურზე, ხოლო შემდეგ ავიდეთ კიბის ზემო საფეხურებზე და ცხელ წყალში დასველებული ხის ნეღელი ტოტებით ტანი დავიორთქლოთ. საჭიროა სხეულის ზედაპირზე წვეთების სახით დაგროვილი ოფლის მოცილება სპეციალური (პლასტმასის ან ხის) „საფხეკით". ოფლის მოცილების მიზნით კანზე საფხეკს ლიმფურ სადინარებში ლიმფის მოძრაობის მიმართულებით უნდა ვისვამდეთ. კიბის ზემო საფეხურზე შეიძლება გავჩერდეთ 10-12 წუთს, შემდეგ უნდა ჩამოვიდეთ და 4-5 წუთის განმავლობაში ქვემო საფეხურზე ვიდგეთ. ყოველივე ამის შემდეგ ორთქლის აბანოდან უნდა გამოვიდეთ, კვლავ მივიღოთ თბილი შხაპი და გავეხვიოთ ზეწარში ან შალის საბანში. 25-30 წუთის განმავლობაში ახე ყოფნის შემდეგ ტანი კარგად უნდა შევიმშრალოთ და ჩავიცვათ. ცალკეულ შემთხვევებში ყველა ეს პროცედურა შეიძლება ერთი დღის განმავლობაში 2-3-ჯერ განმეორდეს, მაგრამ მათ შორის ინტერვალი 30-40 წუთი მაინც უნდა იყოს.

დაუშვებელია წონის დაკლების მიზნით ორთქლის აბანოში 20-25 წუთზე მეტხანს ყოფნა, აგრეთვე, აბანოდან გამოსვლის შემდეგ ცივი შხაპის მიღება და ცივი წყლის დალევა. ეს ოფლის გამოყოფის შეწყვეტას და ორთქლის აბანოს „მარგი ქმედების კოეფიციენტის" 2-3-ჯერ შემცირებას იწვევს.

ორთქლის აბანოს ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გარდა თბილი შხაპის მიღებისა, გამოიყენება სხვა საშუალებებიც. მაგალითად, ორთქლის აბანოში 76-გრადუსიანი სპირტით ტანის დაზელის შემთხვევაში წონის დანაკარგი 4-5-ჯერ მეტია. აბანოში წონის დაკლებას ხელს უწყობს სხეულის საერთო მასაჟიც.

წონის დაკლების მიზნით გამოიყენება ფიზიკური დატვირთვის სპეციალური წესიც. მაგალითად, მოჭიდავემ შედარებით მაღალ ტემპერატურაზე უნდა ივარჯიშოს. თვით ჭიდაობის დროს რეიტუზი უნდა ეცვას, ხოლო ჭიდაობის დამთავრებისთანავე სწრაფად გადაიცვას სავარჯიშო კოსტიუმი და გადავიდეს ნელ სირბილზე, წახტომებზე და სხვ. სასურველია სავარჯიშო კოსტიუმის ზემოდან გადავიცვათ პაერგამტარი ხალათი. წონის დაკლების მიზნით გამოიყენება აგრეთვე გეზრბენა, თხილამურებით რბოლა და სპორტული თამაშები.

წონის დაკლების დღეებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვების რეჟიმს. ამ პერიოდში რაციონის კალორიული ღირებულება დასაშვებია შემცირდეს 30-40 პროცენტით. სპორტსმენის სხეულის წონის ყოველ 1 კგ-ზე მენიუ უნდა შეიცავდეს 2,4-2,5 გრამ ცილას, 1-2 გრამ ცხიმს და 4-4,5 გრამ ნახშირწყლებს. ამ შემთხვევაში სადღეღამისო რაციონში მცენარეული წარმოშობის ცხიმის რაოდენობა 10-15 გრამს უნდა უდრიდეს. სითხე (პირველი კერძის, ჩაის, მინერალური წყლისა და სხვათა სახით) ერთ ლიტრს არ უნდა აღემატებოდეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ კვების რაციონში ცილების, მინერალური მარილებისა და ვიტამინების შემცირება ყოვლად დაუშვებელია. პირიქით: წონის დაკლების დღეებში საჭიროა სპორტსმენს დამატებით მიეცეს B ვიტამინის კომპლექსი.

დაბოლოს ისმის კითხვა: ამა თუ იმ მეთოდით რამდენი კგ შეიძლება დაიკლოს სპორტსმენმა? ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა შეუძლებელია, ვინაიდან წონის დაკლების დასაშვები ოდენობა დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე, პირველ ყოვლისა ასაკზე, საწყის წონაზე და სხეულის შემადგენელ კომპონენტებზე (ძვლოვანი, კუნთოვანი და ცხიმოვანი ქსოვილის რაოდენობაზე). რაც უფრო მეტია ორგანიზმის ცხიმოვანი მარაგი, მით უფრო მეტის დაკლება შეიძლება წონაში. მაგალითად, დადგენილია, რომ 52 კგ წონის მოჭიდავის ცხიმოვანი ქსოვილი სხეულის წონის 8,8 პროცენტს უდრის, მძიმე წონის მოჭიდავისა კი 15,15 პროცენტს აღწევს. გასაგებია, რომ ამ უკანასკნელს წონის დაკლების შესაძლებლობა გაცილებით მეტი აქვს.

საზოგადოდ, წონის დაკლება კუნთოვანი სისტემის ხარჯზე დაუშვებელია. ეს ცხიმოვანი ქსოვილისა და ზედმეტი წყლის ხარჯზე უნდა მოხდეს. იკლებს თუ არა წონის ხელოვნური დაკლების დროს კუნთოვანი მასა. ამაზე სხეულის კუთრი წონით მსჯელობენ. ამ მიზნით მოჭიდავე უნდა აეწონოთ ჩვეულებრივი სამედიცინო სასწორით. შემდეგ კი სპეციალური სასწორით წყალში ჩაყვინთვის და ღრმა ამოსუნთქვის დროს. თუ წონის ხელოვნური დაკლების დროს კუთრი წონა უცვლელი დარჩა ან მოიმატა, ეს ნიშნავს, რომ წონის დაკლება მოხდა ცხიმისა და წყლის დაკარგვის ხარჯზე.

წონის დაკლება უნდა მოხდეს თანდათანობით, კვირაში 1,2-2 კგ-ით, რადგან ერთბაშად დიდი წონის დაკლების დროს ორგანიზმი ვერ ასწრებს ცხიმოვანი მჟავეების დაჟანგვის შედეგად წარმოქმნილი კეტონური სხეულების მოხმარებას, რის შედეგადაც აციტოზური მდგომარეობა იქმნება. უნდა ვერიდოთ აგრეთვე წონის დაკლებას წყლის დიდი რაოდენობით დაკარგვის ხარჯზე, ვინაიდან ორგანიზმის დეგიდრადაციას თან სდევს ელექტროლიტური ბალანსის დარღვევა და ამის შედეგად ქვეითდება გონებრივი მოქმედების უნარი, ირღვევა მოძრაობათა კოორდინაცია.

მიზანშეუწონელია და უნდა აიკრძალოს წონის ხელოვნური დაკლება ჭაბუკი და ახალგაზდა მოჭიდავეებისთვის, რადგან მოზარდ ორგანიზმში ეს დიდ ფუნქციურ ძვრებს იწვევს და უარყოფითად მოქმედებს მის მორფოლოგიურ განვითარებაზე.

შ. ჩახნაშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი, დოცენტი.

მ. ჩაჩანაშვილი,
სპორტის ოსტატი.



მოსკოვში, ხაცურაო აუზ „მოსკოვის" მინის პავილიონების გვერდით, ხის ერთსართულიანი შენობა გაჩნდა. ფინეთის ერთ-ერთი ფირმის მშენებლები საბჭოთა მემონტაჟეებთან ერთად აქ სპორტსმენებისთვის აშენებენ „საუნას" — ფინურ აბანოს.

სურათზე: ფინელი მუშა ნ. იარვინპაა და მემონტაჟე პ. სოლომატინი (მარჯვნივ) „საუნის" მონტაჟის დროს.

ვ. სოზინოვის ფოტო (საკადესი).

უპატრონო ეკლესიის ყოვლად მინიერი საქმენი

ეს მართლაც ტიტანური შრომა იყო: ექვსი დღის მანძილზე ოფლად გაღვრილი ღმერთი გულმოდგინედ ქმნიდა სამყაროს, მეშვიდე დღეს კი, როცა ქმაყოფილმა თავის ნახელავს გახედა (ამ დროს იგი მხართეძოზე იყო წამოწოლილი), ელდა ეცა.

ცა თითქოს თავის ადგილზე იყო, დედამიწაც. ვარსკვლავები მხიარულად ციმციმებდნენ უნაპირო ცის კაბადონზე. ადამმა და ევამ ის ის იყო შთამოშავლობას სიცოცხლე შთაბერეს, რომ ვიღაცამ ვიღაცას ცეცხლი მოპარა და ჩუმად ადამიანებს გადასცა. გაჩნდა დიდი და პატარა ქვეყნები, ქალაქები, დიდებული სასახლეები, ტაძრები. ადამისა და ევას ნამიერებმა ისწავლეს შრომა, ერთმანეთის სიყვარული და სიძულვილიც.

ღმერთი კი მაინც უკმაყოფილო იყო. მუშაობის პროცესში ზოგი წვრილმანი ვერ გაითვალისწინა, ზოგი რამ მართლაც გამორჩა. ავიღოთ, თუნდაც ასეთი წვრილმანი: დედამიწაზე მცხოვრებთა უმრავლესობამ ადგილსამყოფელი მიიღო მზის ქვეშ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სპორტულ თამაშობათა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლისთვის კი ერთი პატარა შენობა და დარბაზი ვერ გამოინახა.

დაღონდა ღმერთი. ყველა მისთვის ცნობილი შენობა უკვე განაწილებული იყო და, დაჩაგრული სპორტსკოლისთვის როგორმე რომ ესიამოვნებინა, თავისი ფონდიდან ერთი ეკლესია წსხვერპლად გაიღო (ეს შენობა დღესაც პირველი მაისის ქუჩაზე მდებარეობს).

მას შემდეგ ეკლესიის მთავარ კარს ცხრა კლიტე აღევს (ყოველი შემთხვევისთვის, ვინმემ ღმერთის განკარგულება რომ არ შეცვალოს). სამაგიეროდ, ფასადის უკანა მხარეს პატარა ქვის კიბეა მიშენებული, რომელიც პირდაპირ მეორე სადარბაზო შესასვლელს უკავშირდება. ასე უფრო მოსახერხებელია და უბიფათო. ეკლესიას არც გალავანი აქვს, არც სამრეკლო. ამიტომ მის გარშემო მორწმუნენი არ იკრიბებიან.

შიგ შენობაში მუდამ მხიარული ერიამულია. აქ ხან ფრენბურთის ბადეა გაჭიმული, ხან ხელბურთის კარები დგას. ზოგჯერ კალათბურთსაც თამაშობენ. გამოუცდელი კაცისთვის ეს ყველაფერი გაუგებარია. იგი ასე ფიქრობს: ღმერთო, შეიბრალე შენი მონა და მორჩილი მრევლი, რამეთუ იგი სატანას გაუხელებია და წმიდა ტაძარი საბურთაო ასპარეზად გადაუქცევია. გაოცებულმა მორწმუნემ არც კი იცის, რომ ეს ყველაფერი ღვთის მიერაა ნებადართული.

მაშ ასე, ნუ ვიფიქრებთ, თითქოს უპატრონო ეკლესიას სპორტსმენები თვითნებურად დაეპატრონენ. მანამდე ამ შენობას თვალი სხვა დარგის ადამიანებმაც შეავლეს. ამბობენ, ორგანის დადგმაც კი ყოფილა განზრახული — აქაოდა ეკლესიის შენობაში კარგი აკუსტიკაა. აკუსტიკა იქ მართლაც კარგია: სპორტსკოლის გრძელი სახელწოდება არსად არ ეღერის ისე მჭახედ და დამაჯერებლად, როგორც შენობის სიღრმეში, მით უმეტეს, პირს თუ აღმოსავლეთისკენ იხამ.

მაგრამ თავი დავანებოთ სპორტსკოლის ბიბლიურ წარსულს. თავი დავანებოთ ადამსაც და ევასაც — სამყაროს პირველ პოტენციურ სპორტსმენებს. მით უმეტეს, რომ ჩვენი დროის ადამიანები უფრო პრაქტიკული საქმეებით არიან დაკავებული, ვიდრე აკრძალული ხიდან ვაშლის კრეფაა. მივხედოთ საქმიანობას სკოლისას, რომელიც თავის რიგებში კალათბურთს, ფრენბურთსა და ხელბურთს დაწაფებულ 70-ზე მეტ ორგანიზებულ ჯგუფს აერთიანებს. ეს დიდი ძალაა — ათიდან ოერამეტი წლის ასაკამდე მოზარდთა ათასკაციანი არმია, რომელსაც თბილისის საუკეთესო მწვრთნელთა სტრატეგიული შტაბი ხელმძღვანელობს.

სპორტსკოლის დირექცია გუმბათთან ახლოს, მერცხლის ბუდეშია მოკალათებული, რომელსაც ერთადერთი საცალფეხო კიბით სპორტს კარგად დაუფლებული კაცი თუ მიაღწევს. დირექციის არჩევში ინახება წიგნი: სპორტსკოლის თავისებური ისტორია დასაწყისიდან დღემდე. ამ წიგნიდან შეიტყობთ, რომ სპორტსკოლის კედლებს სხვადასხვა დროს აღუზრდიათ ჩვენი სახელოვანი კალათბურთელი ქალები და ვაჟები, ფრენბურთელები, ხელბურთელები. სპორტსკოლა დღესაც კვალიფიციურ კადრებს ამზადებს. ზოგნი საყვარელ სპორტს გუმბათის ქვეშ ეუფლებიან, ზოგნი — მახლობელ ბაზებზე, ზოგნიც დილიდან საღამომდე დაძრწიან ქალაქის ქუჩებში — იქნებ ვინმე კეთილმა ადამიანმა კარი გააღოს და დარბაზში შეუშვას სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა. ამ მოხეტიალე სპორტსმენებთან ერთად ქალაქის ქუჩებს მოდებული არიან გამწარებული მშობლები. არავინ იცის, ზუსტად სად დაუღამდებათ და სად გაუთენდებათ მათს პირმშოებს.

ერთი სიტყვით, ღვთის ანაბარად მიტოვებული სპორტსკოლა მაინც ვაჟკაცურად იბრძვის თავისი კანონიერი უფლებებისთვის, იბრძვის, როგორც დავითი გოლიათთან. ყველაზე მეტად გაკვირი ამ ბრძოლაში ისაა, რომ სკოლა უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაშიც კი არ კარგავს იმედსა და ენთუზიაზმს.

სპორტსკოლის საქმიან მიმოწერათა საქაღალდეში ინახება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური სამბჭოს ცირკულარული წერილი, რომელიც 1966 წლის 30 აპრილითაა დათარიღებული. აი, სიტყვასიტყვით ამ დოკუმენტის შინაარსი: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ბავშვთა სპორტსკოლების მოსწავლეებს დღის საათებში (18.00 საათამდე ადგილობრივი დროით) უფასოდ უნდა გამოეყოთ სპორტული ნაგებობები, სტადიონები, დარბაზები და საცურაო აუზები". ეს საინტერესო დოკუმენტია, რომელსაც საფუძვლად ახალგაზრდა თაობის სპორტული დაოსტატებისთვის ზრუნვა უდევს.

როგორ ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები თბილისის სპეციალიზებული სპორტსკოლის მაგალითზე? ქალაქის ბევრი მთავარი ბაზა (მაგალითად, ლენინის სახელობის, „ლოკომოტივის", „განთიადის" დარბაზები, სპორტნაგებობათა სამმართველოს ზოგიერთი მოედანი და სხვ.). შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს სპორტსკოლას და გარკვეულ დროს (შეტწილად იჯარით) უთმობს მას. ამისთვის ისინი მადლობას იმსახურებენ. მაგრამ ზოგიერთი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელები, ისევე როგორც ზოგიერთი სპორტნაგებობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, არ იცნობენ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს ან მას არასაკმარისად ავტორიტეტულად მიიჩნევენ. ერთი სიტყვით, დადგენილება დადგენილებად რჩება დარბაზების ხელმძღვანელთა მერკანტილური ინტერესების გამო.

მაგრამ როგორ ვილაპარაკოთ ამ ორგანიზაციათა სოლიდარობაზე სპორტსმენთა მიმართ, როცა მოსწავლეებისადმი მტრულად არიან განწყობილი ზოგიერთი რაიონის სპორტის მესვეურნიც. აი, ორი მაგალითი: კალინინის რაიონში, ენგელსის ქუჩაზე მდებარე კეთილმოწყობილ დარბაზში შესვლის უფლება სპორტსკოლის პირველი გუნდების წევრებსაც კი არა აქვთ. (ნუ დაგავიწყდათ, რომ ამ გუნდებმა 1974 წელს მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში!). რატომ? იმიტომ, რომ სავარჯიშო დრო თურმე რაიონის სპორტსმენებსაც არ ჰყოფნით.

ჯერ ერთი, რას ნიშნავს ჩვენი და სხვისი სპორტსმენები? განა სპორტსკოლის გუნდებში არ არიან კალინინის რაიონის წარმომადგენლები? რა უფლებით აღიმართა კალინინის რაიონის ფიზკულტურელებისთვის ჩინური კედელი, შედ ჩიტიც რომ ვერ გადაფრინდება? ან რატომ გაჭირდა აგრერიგად ოქტომბრის რაიონის სპორტდარბაზში (კიევის ქუჩაზე) სპორტსკოლებისთვის დროის გამოძებნა?

ესეც არ იყოს, რა საბუთია, ჩვენი მოსწავლეებისთვისაც არ გვყოფნის დროო, როცა შემოჩამოთვლილ რაიონებს არც ერთი სპორტსმენი არ გაუზრდიათ ნაკრები გუნდებისთვის (გამონაკლისია მხოლოდ ერთი კალათბურთელი და რამდენიმე ფრენბურთელი ოქტომბრისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებიდან). რაში ჩანს, სად ელინდება შედეგები რაიონების მჩქეფარე სპორტული საქმიანობისა, რომლის მიზეზითაც ორი საათი თავისუფალი დრო ვერ გამოინახა სპორტსკოლელთათვის?

კიდევ კარგი, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველა ერთი სენით არ არის დაავადებული. თუ გული გულობს, დროის გამონახვაც შეიძლება და დახმარების ხელის გაწვდენაც. სპორტსკოლის დირექცია მადლიერია 144-ე (დირექტორი მ. ჩოჩუა), 65-ე (გ. ჩალაური), 131-ე (გ. გოგიჩაიშვილი), 140-ე (შ. დავითაია), 48-ე (დ. კალანდაძე), მე-100 (დ. მალაშმერიძე), 126-ე (ც. ლეჟავა), 151-ე (ბ. ჯაფარიძე), 138-ე (ქ. ბარაშენიძე), მე-15 (ა. მათითაიშვილი), 146-ე (რ. ნინუა), 109-ე (რ. ზამოევი), 56-ე (ე. ცერცვაძე) და კიდევ ბევრი სხვა სკოლისა, რომლებიც დახმარებაც იციან და პირობის შესრულებაც. მოუცელობა არაჯერ შეუპია. საქმე ესაა: არ გაძლევთ დარბაზს, წაბრძანდით და იჩივლეთ! წარმატების შემთხვევაში ხელების ბნევა და მიღოცვის მიღება ყველამ იცის. ოღონდ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი გამოკეტილი ცხოვრებით ვერავინ მიაღწევს წარმატებას.

სპორტსკოლას სამათხოვროდ არ ეჭნებოდა საქმე, საკუთარი სპორტდარბაზი რომ გააჩნდეს, ვიმეორებთ, სპორტდარბაზი და არა ეკლესია. არსებობს უამრავი დოკუმენტი, დადგენილება, ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმება იმაზე, რომ თბილისში უნდა გამოიყოს მიწის ნაკვეთი ჩვეულებრივი, ოთხ კედელს შუა მოქცეული დარბაზის ასაშენებლად. ნუ იქნება იქ აკუსტიკა, გუმბათი და ქვითკირის მამაპაპური კედლები. იყოს მხოლოდ მოედანი, გასხდელები, შხაპი და სხვა ელემენტარული პირობები. იყოს საშუალება, რომ სპორტსკოლამ, რომელსაც მართლაც შეუძლია ნიჭიერი სპორტსმენების გაზრდა, შვებით ამოისუნთქოს და ფრთები გაშალოს.

დაგვერწმუნეთ, ნაშინ მომავალი ქორქეებისა და ჯორჯიკების აღზრდას წინ აღარაფერი დაუდგება.

ნ. ბუგუშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

8 ნოემბერს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის 5 მატჩი.

„ᲣᲧᲐᲠᲐᲗᲘᲗ“—„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ 2:0.

ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გათამაშების რამდენიმე მონაწილისთვის. „დნეპრი“ კი გამარჯვების შემთხვევაში ინარჩუნებდა საპრიზო ადგილზე გასვლის შესაძლებლობას, მაგრამ ასე არ მოხდა. „დნეპრი“ დამარცხდა. ანგარიში გახსნა მარკინმა, ხოლო როტკოვმა მეორედ აიღო სტუმრების კარი.

„ᲖᲐᲠᲘᲐ“ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲛᲘᲜᲡᲙᲘ) 0:1.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ამ მაღალი ტიტულის მოპოვების შემდეგ პირველი დამარცხება განიცადა. „ზარიას“ კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა სლოვაკმა.

„ᲜᲔᲤᲗᲩᲘ“—„ᲙᲐᲠᲞᲐᲗᲘ“ 2:1.

ბაქოელთა კაპიტნის ბანიშევსკის მიერ მე-10 წუთზე გატანილი ბურთი შესვენების შემდეგ გაქვითა სავკამ. მატჩის დასასრულს სმოლნიკოვმა კვლავ წინ გაიყვანა „ნეფთჩი“.

ᲨᲘᲐᲯᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲐᲛᲐᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ მინდვრიდან გაძევებულ იქნა ლვოველი ე. კოზნიკევიჩი.

ᲐᲚᲐ (ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ 1:0.

ერთადერთი ბურთი, რომელმაც არმიელებს მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა მე-4 წუთზე ანტონოვის მიერ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ — „ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ 1:6.

ანგარიში გახსნეს რკინიგზელებმა (პისკუნოვი), მაგრამ ამის შემდეგ გუნდმა მთლიანად დათმო თამაში და „ზენიტმა“ 6-ჯერ აიღო მისი კარი. ბურთები გაიტანეს: ტრემბაჩმა (2), ხრომჩენკოვმა (2), ნიკოლაევმა და ზაგუმენნიმ.

8 ნოემბრის მატჩმა ალმა-ათაში, სადაც ადგილობრივმა „უაირათმა“ დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, როგორც ვთქვით, საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი შეუქმნა თბილისის დინამოელებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, საამისოდ საჭირო იქნება 8 ნოემბრის მატჩის მოგება მინსკის „დინამოსთან“.

მკითხველთათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ ცხრილს, სადაც ჩემპიონატის მონაწილენი განლაგებული არიან საღღეისოდ დაკარგული ქულების მიხედვით:

„ზარია“	— 18
„დინამო“ (კიევი)	— 24
„დინამო“ (თბილისი)	— 25
„დნეპრი“	— 26
„არარატი“	— 26
ცსკა	— 26
„დინამო“ (მინსკი)	— 27
„ზენიტი“	— 27
„დინამო“ — (მოსკოვი)	— 28
„ტორპედო“	— 29
„სპარტაკი“	— 30
ასკ (როსტოვი)	— 32
„კარპატი“	— 34
„უაირათი“	— 34
„ლოკომოტივი“	— 39
„ნეფთჩი“	— 39

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲚᲘᲒᲐ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	28	15	8	5	48—26	38
ცსკა	30	15	4	11	37—33	34
„ზენიტი“	30	11	11	8	44—30	33
„დინ.“ (თბ.)	29	11	11	7	39—34	33
„არარატი“	29	11	10	8	37—29	32
„დნეპრი“	29	11	10	8	36—37	32
„დინ.“ (მნ.)	29	10	11	8	27—26	31
„ტორპ.“	30	11	9	10	31—33	31
„დინ.“ (კ.)	27	10	10	7	43—31	30
„დინ.“ (მ.)	29	12	6	11	39—34	30
ასკ	29	8	10	11	29—32	26
„უაირ.“	30	6	14	10	23—27	26
„სპარტ.“	27	8	8	11	27—27	24
„კარპ.“	29	8	8	13	25—40	24
„ლოკომოტ.“	30	6	9	15	29—48	21
„ნეფთჩი“	29	6	7	16	27—54	19

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მინსკი)

5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

საათადარიგო შემადგენლობანი

შეხვედრა გაიმართება ქ. რუსთავში. დასაწყისი 15 ს.

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 18 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: აბონემენტებზე 6-7 ნოემბერს 11-დან 18 საათამდე; საერთო გაყიდვა — 8 ნოემბერს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.



თასი პირველ მფლობელს ელის

ჯერ ორიოდ სიტყვა ტურნირის მნიშვნელობაზე, რომელსაც წლეულს ჰაეყარა საფუძველი. სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში თავისებურად აჯამებს შარშანდელი სეზონის შედეგებს. ამიტომაც მონაწილე გუნდების შერჩევისას 1971 წლის კომპლექსურ მაჩვენებლებს ითვალისწინებენ. ტურნირში, რომელიც გუნდური ხასიათისაა, უფროსთა მხარდამხარ იუნიორებიც ასპარეზობენ. ესეც მეტად გონივრული სიახლეა, ვინაიდან მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება სწორედ დღევანდელ იუნიორთა შორის საუკეთესოებს ექნებათ. თასის გათამაშებაში გამარჯვებულად ჩაითვლება ის ქალაქი ან რესპუბლიკა, რომელიც წარმატებით გამოვა როგორც უფროსთა, ისე იუნიორთა ტურნირში.

ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ 1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაასახელა 8 გუნდი, რომლებიც დღეს თბილისის სპორტის სასახლეში სპპატიო ჯილდოსთვის იბრძვიან. ესენი არიან: პირველ ჯგუფში — რუსეთის ფედერაცია, საქართველო, ბელორუსია და უზბეკეთი; მეორე ჯგუფში — უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და მოსკოვი. ჯგუფებში გამარჯვებული კოლექტივები გაითამაშებენ ტურნირის მთავარ პრიზს, დანარჩენები კი მომდევნო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

პირველ წრეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები და სატურნირო ცხრილში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს. თუმცა ზოგიერთი ორთაბრძოლა მაინც მძაფრი გამოდგა. ავიღოთ თუნდაც მოსკოვისა და აზერბაიჯანის იუნიორთა შეხვედრა. წარმატება ხუთჯერ მოსკოველებმა იზეიმეს, ხუთჯერ — აზერბაიჯანელებმა, მაგრამ საერთო ჯამში გამარჯვება მოსკოვის გუნდს მიეკუთვნა (21:19), ვინაიდან მას ორით მეტი წმინდა მოგება აღმოაჩნდა.

უფროსთა ტურნირში მოსკოვის გუნდის უბირატესობა უფრო დამაჯერებელი იყო. მან გაიმარჯვა ანგარიშით 24:12. ყველაზე ეფექტური გამარჯვება მოიპოვა მძიმე წონის მოსკოველმა ოსტატმა ე. არტიუხინმა. მან 45 წამში ბეჭებზე დასცა ბაქოელი ოსტატობის კანდიდატი ფ. ფაშაევი. მსაჯები საკმაოდ მკაცრად სჯიან სპორტსმენებს პასიური ბრძოლისთვის. ზემოაღნიშნული გუნდების შეხვედრაში არბიტრებმა მე-8 წუთზე მოხსნეს ქვემსუბუქი წონის ათლეტები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ფ. მუსტაფინი (მოსკოვი) და სპორტის ოსტატი ე. ეიგაზოვი.

საბოლოო ჯამში მოსკოვის მოჭიდავეებმა აზერბაიჯანელებთან შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 45:31.

იუნიორთა ძლიერი გუნდი წარმოადგინა ყაზახეთმაც უკრაინელების წინააღმდეგ. ფავორიტი დამარცხდა 6 ქულის სხვაობით (17:23). უკრაინელები განსაცდელისგან უფროსებმა იხსნეს, რომლებმაც 10 ქულით მოუგეს მეტოქეებს (25:15) და საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს კიდეც — 42:38.

მეორე ჯგუფის გუნდებში სტარტი დამაჯერებლად აიღეს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს კოლექტივებმა. პირველმა დაამარცხა ბელორუსიის მოჭიდავეთა ნაკრები — 47:25 (უფროსებმა — ანგარიშით 25:7, იუნიორებმა — 22:18), მეორემ კი უზბეკეთის გუნდი — 53:27 (უფროსებმა — ანგარიშით 25:15, იუნიორებმა — 28:12).

საქართველოს იუნიორებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს უზბეკეთის თანატოლებთან შეხვედრის მეორე ნახევარი. საქმე ისაა, რომ პირველ ხუთ წონაში უპირატესობა ჩვენს მეტოქეებს ჰქონდათ. ისინი 2 ქულით დაწინაურდნენ — 11:9, მაგრამ მეორე ქვესაშუალო წონიდან მოყოლებული, სტუმრებმა მხოლოდ 1 ქულა აიღეს, მასპინძლებმა კი 19. წმინდად მოიგეს შეხვედრები: თ. ლეჟავამ (ვ. ჩერკასოვთან), ი. წიგლაურმა (ნ. როდკინთან), ნ. ბაბიაშვილმა (ა. გრიშკოსთან), ნ. მირაქოვმა (ა. ზინუდინოვთან). გამარჯვება მოიპოვა, აგრეთვე, მ. სალაძემ (ვ. ბატრაევთან).

უფრო დაძაბულად წარიმართა უფროსების ასპარეზობა. დასაწყისში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო: ა. ჩალაურმა და რ. დავლიატოვმა ფრედ დაამთავრეს ორთაბრძოლა. მერე ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგეს უზბეკმა მოჭიდავეებმა: რ. ბაირამოვმა დაამარცხა გ. კახელიშვილი, ხოლო რ. იბრაჰიმოვმა — ზ. ცქრიალაშვილი. მაგრამ ეს იყო სტუმრების ბოლო წარმატება. ჯ. მეგრელიშვილმა ქულებით დაამარცხა ა. შაბიევი, გ. ბელიძემ — ა. ყაიგურაზოვი, თ. მაჭავარიანმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა ნ. ბრიუსოვთან ორთაბრძოლაში. ქულებით მოიგეს შეხვედრები: ო. ბლიაძემ (ვ. ეგოროვთან), ე. გოგლიჩიძემ (ვ. შაბოლკინთან) და შ. მორჩილაძემ (ა. აბაიდულინთან). ფრედ დამთავრდა გ. ჯოხაძისა და ვ. ნაზლიმოვის ორთაბრძოლა.

სსრ კავშირის თასის გათამაშების დებულების თანახმად, გუნდი, რომელიც კომპლექსურ ჩათვლაში გაიმარჯვებს 14 ან მეტი ქულით, 0 საჯარიმო ქულას (დამარცხებული. ოთხს) იღებს. თუ სხვაობა 14 ქულაზე ნაკლებია გამარჯვებულს ეწერება 1 საჯარიმო ქულა, დამარცხებულს კი 3.

ამრიგად, პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: პირველი ჯგუფი — საქართველო და რსფსრ — 0-0 საჯარიმო ქულა, ბელორუსია და უზბეკეთი — 4-4; მეორე ჯგუფი — მოსკოვი — 0 ქულა, უკრაინა — 1, ყაზახეთი — 3 და აზერბაიჯანი — 4.

ნ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: თბილისელი იუნიორის თ. ლეჟავას ეფექტური ილეთი ვ. ჩერკასოვთან (უზბეკეთი) ორთაბრძოლაში. ეს შეხვედრა ლეჟავამ წმინდად მოიგო.

მ. ᲗᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲔᲒᲖᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

2 ნოემბერს გაიმართა შ. შაგულიძის სახელობის პრიზის მორიგი ტურის შეხვედრები.

ლანჩხუთის „გურიამ“ შინ ანგარიშით 5:2 დაამარცხა რუსთავის „მეტალურგი“. ფოთის „კოლხეთმა“ წააგო გორის „დილასთან“ — 2:3, ხოლო ბათუმისა და სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრამ გამარჯვება მოუტანა ბათუმელებს — 3:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“	8	4	3	1	14—10	11
„მეტალ.“	8	4	3	1	12—9	11
„დინ.“ (ბათ.)	8	3	2	3	7—6	8
„მურგალი“	7	1	5	1	4—4	7
„დილა“	8	2	3	3	7—8	7
„კოლხეთი“	7	2	2	3	7—8	6
„დინ.“ (სოხ.)	8	0	4	4	2—8	4

ᲠᲔᲙᲚᲘᲛᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ, ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲨᲘᲨᲕᲚᲘᲡ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

გაიმართა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტური. ლონდონის „არსენალმა“ შინ ფრედ (0:0) ითამაშა „მანჩესტერ სიტისთან“. „ჩელსიმ“ აგრეთვე ფრედ — 1:1 დაამთავრა თავისი შეხვედრა „ნიუკასლ იუნაიტედთან“. „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ დიდი ანგარიშით — 4:0 მოუგო „კრისტალ პალასს“, ხოლო „ლიდს იუნაიტედმა“ სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“. „დერბი ქაუნთიმ“ მოუგო „შეფილდ იუნაიტედს“ — 2:1. სენსაციურად დამთავრდა მატჩი მანჩესტერში, სადაც ადგილობრივმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დიდი ანგარიშით წააგო „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ — 1:4. ოთხივე გოლი გაიტანა მ. პიტერსმა.

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ჩემპიონატის IX ტურში გლაზგოს „სელტიკმა“ სტუმრად დაამარცხა „აბერდინი“ — 3:2. „ჰიბერნიენმა“ ფრედ ითამაშა „დუმბარტონთან“ — 2:2, „დენდი იუნაიტედმა“ მოუგო „ეირ იუნაიტედს“ (2:1), ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ — „სენტ ჯონსტონს“ — 5:1.

ᲛᲐᲒᲣᲙᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ

ᲣᲤᲐᲒᲝᲠᲝᲓᲘ (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). 2 ნოემბერს აქ დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ფინალური ტურნირი. მასში მონაწილეობენ ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), ცსკა, „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვის ოლქი), „სპორტინტერნატი“ (კიევი), სპორტსკოლა (უფაგოროდი), სპორტსკოლა (ფრუნზე). თბილისელთა მწვრთნელები არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი და ჯ. თანანაშვილი.

ჩვენი ფეხბურთელების პირველი მოწინააღმდეგე იყო ფრუნზეს გუნდი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. კიეველებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს უფაგოროდელები, ხოლო ცსკა-მ წააგო „შრომით რეზერვებთან“ — 0:1.

ᲙᲚᲐᲠ ᲘᲧᲘᲓᲘᲐᲜ...

როგორც ადრე ვიუწყებოდით, „სტოკ-სიტის“ უნდა ეყიდა შოტლანდიური კლუბის „აბერდინის“ გამოცდილი მეკარე ბ. კლარკი 100 ათას ვირვანქა სტერლინგად. „სტოკ-სიტის“ წარმომადგენელი მეკარის სანახავად სპეციალურად ჩაეიდა აბერდინში, სადაც თამაშობდნენ „აბერდინი“ და „სელტიკი“. კლარკმა 3 გოლი გაუშვა და „სტოკ-სიტის“ წარმომადგენელი უკმაყოფილო დარჩა მისი თამაშით, მეკარეს აღარ ყიდულობენ.

სპორტული ნოემბერი

შემოდგომის ბოლო თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

აპრობაცია

23-24. მფრინავი-კოსმონავტის ვ. ვოლკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

გაბუნი

11-12. სსრ კავშირის თასი. სინქრონული და ინდივიდუალური ხტომა. ნახევარფინალი (ვორონეჟი).
25-26. სსრ კავშირის თასი. ინდივიდუალური ხტომა. ფინალი (ბაქო).

თავისუფალი ჭიდაობა

17-19. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).
19. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: „დინამო" (სსრ კავშირი) — ინგლისის ნაკრები (მოსკოვი).
24-26. საკავშირო შეჯიბრება (დუშანბე).
30. XI-4. XII. სოციალისტური ქვეყნების „დინამოს" (სსრ კავშირი) მონათესავე სპორტული ორგანიზაციების სპარტაკიადა (გდრ).

ძრავი

5. ინგლისისა და რსფსრ-ს ნაკრები გუნდების მატჩი (ინგლისი).
მონათესავე სპორტული ორგანიზაციების სპარტაკიადა (გდრ).

კალათბურთი

5-6. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის თასი" (ფინეთი).

კლასიკური ჭიდაობა

5. სსრ კავშირის თასი (თბილისი).
17-19. საკავშირო შეჯიბრება (გურგანი).
19. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: „სპარტაკი" (სსრ კავშირი) — დანიის ნაკრები (გომელი).
30. XI-4. XII. სოციალისტური ქვეყნების „დინამოს" (სსრ კავშირი) მონათესავე სპორტული ორგანიზაციების სპარტაკიადა (გდრ).

ძრავი

5. ინგლისისა და რსფსრ-ს ნაკრები გუნდების მატჩი (ინგლისი).
17-25. ხაბეჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირ — ნიგერიის მეგობრობის კვირეული (ნიგერია).
22-26. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (გდრ).
28-29. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

ნაგიდის ჩოგბურთი

18-21. საკავშირო შეჯიბრება (დონეცკი).

სამგო

24-26. ევროპის ჩემპიონატი (რიგა).

ტანვარჯიში

5. საერთაშორისო შეჯიბრება (ნორვეგია).
18-19. საერთაშორისო შეჯიბრება (ლენინგრადი).
28. XI-3. XII. ლენინური კოსკავშირისადმი მიძღვნილი გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (ზაპოროჟიე).

ფარიკაობა

7-12. იტალიისა და ბელორუსიის სსრ ნაკრები გუნდების მატჩი (იტალია).

ფეხბურთი

5-10. ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების ფინალი (უჟგოროდი).
8. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: „გურნიკი" (ზაბეე) — „დინამო" (კიევი). პოლონეთი.
8. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ატლეტიკო" (მადრიდი). მოსკოვი.
8. უეფა-ს თასი: „არარატი" (ერევანი) — „გრასჰოპერსი" (ციურიხი). ერევანი.
17-25. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბაკავშირ — ნიგერიის ჩემპიონის ... ული (ნიგერია).
19. სსრ კავშირისა და პოლონეთის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მატჩი (ოჩამჩირე).
25. სსრ კავშირისა და გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მატჩი (ოჩამჩირე).

ფიგურული ციგურაობა

5. სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობა (ზაპოროჟიე).
10-14. საერთაშორისო შეჯიბრება — „პრაღის ციგურები" (ჩეხოსლოვაკია).
16-19. საერთაშორისო შეჯიბრება „ცისფერი მახვილების" თასზე (გდრ).

ფრენბურთი

9-24. საფრანგეთისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (საფრანგეთი).
17-19. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (რიგა).
29. XI-4. XII. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

ზაბი

14. XI-8. XII. სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. ფინალი (რიგა).

ჩოგბურთი

17-25. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირ — ნიგერიის მეგობრობის კვირეული (ნიგერია).

ძალოსნობა

11-15. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა" (კუბა).
26-30. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ტომსკი).

ჟიუდო

5-6. სოციალისტური ქვეყნების „დინამოს" მონათესავე სპორტული ორგანიზაციების სპარტაკიადა (უნგრეთი).
18-19. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა" (პოლონეთი).

ფუალბურთი

5-6. ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ფინალი (მოსკოვი).
10-12. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ნახევარფინალური ტურნირები (საბერძნეთი, შვეიცარია).
18-23. იუნიორთა საკავშირო პირველობა (მოსკოვი).
19. სსრ კავშირის თასის ფინალი (მოსკოვი).

ფუალი ხტომა

25-26. საკავშირო შეჯიბრება (ბაქო).

ბადრაკი

5. XI-3. XII. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი (ტოლიატი).
17. XI-19. XII. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (ბაქო).

ხელბურთი

5. ჭაბუკთა (ბაქო) და გოგონათა (ნოგინსკი) საკავშირო შეჯიბრება.
11-16. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება (პეტროზავოდსკი).
21-26. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება — „კარპატის თასი" (რუმინეთი).
28. XI-3. XII. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე (თბილისი).

ჭოკები

5-6. ფინეთისა და სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდების შეხვედრები (ფინეთი).
5-6. ფინეთისა და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდების მატჩები (ფინეთი).
22-28. სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ სპორტსმენთა შეჯიბრება — „მეგობრობა" (ჩერეპოვეცი).
24-28. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „რუდე პრავოს" პრიზზე (ჩეხოსლოვაკია).
29. XI-6. XII. საერთაშორისო შეჯიბრება „მუშახტის დღეს" თასზე (პოლონეთი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

11 ნოემბერს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში გაიმართება კალათბურთის მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარი (თამაშის წესების ცვლილებებთან დაკავშირებით).

დასაწყისი 19 ს.

იუგოსლავიური შთაბეჭდილებები

5. შეხვედრები

ოლიმპიადა იმითაც იყო საინტერესო, რომ ბევრ ძველ ნაცნობ მოჭადრაკეს, საჭადრაკო მოღვაწეს, ჟურნალისტს შევხვდი. რა თქმა უნდა, ბევრი დასამახსოვრებელი ამბავი მოვისმინე, ვნახე.

კარგი დაპირება

საერთაშორისო არბიტრი ტ. აცკვეტა 1961 წელს თბილისში, ქალთა საერთაშორისო ტურნირის დროს გავიცანი. სკოპლეში რომ შეხვედი, მითხრა, საინტერესო რამ უნდა გიამბოთო. და აი, რა მიამბო:

— მე დიდხანს ვმეგობრობდი პირველ იუგოსლავიელ დიდოსტატ ბორა კოსტიჩთან. ერთი ქალაქიდან ერშაცადან ვართ. როცა 1963 წელს კოსტიჩი გარდაიცვალა, მივალწიე, რომ ქალაქის საბჭოს მისი სახელობის მუზეუმი გავახსნევინე და შემორიალიც დავაწესებინე. უკვე ორი მემორიალი გავმართეთ.

1926-27 წლებში კოსტიჩმა მთელი დედამიწა შემოიარა — ჭადრაკზე ლექციებს კითხულობდა და ერთდროული თამაშის სეანსებს მართავდა. თბილისშიც იყო. კოსტიჩის არქივი ვნახე და მუზეუმში გამოვფინეთ მეგობრული კარიკატურა, რომელიც მისთვის გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას უჩუქებია. ნახატზე მხატვრის გვარიც. არის მიწერილი, მაგრამ ახლა არ მახსოვს. მივაგენი წერილებსაც, რომელთაც გზიდან დედას უგზავნიდა. გულთბილად წერს თბილისზე და თბილისელებზე, მათს სტუმართმოყვარეობაზე. მე თბილისში ნამყოფი ვარ და ამიტომ დამამახსოვრდა ეს წერილები.

— იქნებ მოგვაწვდინოთ: გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციასაც გეხარდება გაიხსენოს მეგობრული კარიკატურა, მხატვრის გვარი.

— ვეცდები. როგორც კი ვრშაცში ჩავალ, აუცილებლად მოვახსოვ, ამოვწერ და გადმოგიგზავნით, — დამპირდა აცკვეტა.

პეტროსიანი კმაყოფილია

ოლიმპიადასთან დაკავშირებით სკოპლე ოლიმპიური სუფეხრებით აივსო. მინის ქარხანამ გამოუშვა წყლის სასმელი ჭიქები ფიშერის, სპასკის, პეტროსიანის, გლიგორიჩის, ლარსენის და სხვა ცნობილი მოჭადრაკეების სურათებით. ერთი ჭიქა 42 დინარი ღირდა. ეს საკმაოდ ძვირი იყო.

ერთხელ მაღაზიაში ტიგრან პეტროსიანს შევყევი.

— თურმე ჭიქები იყიდება ჩემი სურათებით — ხუმრობდა ტიგრანი. — ერთი-ორი ცალი უნდა ვიყიდო.

ნოქარმა გოგონამ პეტროსიანი მყისვე იცნო, მაგრამ ჭიქები, რომლებზეც დიდოსტატის სურათი იყო აღბეჭდილი ვერ მონახა. სხვების კი ბლომად იყო.

— აღბათ, ჩემპიონი რომ აღარ ვარ, „ჩემი ჭიქა" ცოტა გამოუშვეს? — გაეხუმრა პეტროსიანი ნოქარ გოგონას. მან კი სერიოზულად უპასუხა:

— არა, პეტროსიანი კარგად იყიდება!

— როგორ?

— დიახ, პეტროსიანი ძალიან კარგად იყიდება!

პეტროსიანს სიცილი აუვარდა.

— კიდევ კარგი, ეს ჩვენს კაპიტანს რომ არ ესმის!

როცა ნოქარი გოგონა ხუმრობას მიუხვდა, ბოდიში მოუხადა და ორი ჭიქაც მოუნახა.

ბოტვინიკმა ყველა გააოცა

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მ. ბოტვინიკი ოლიმპიადაზე საპატიო სტუმრად მიიწვია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სასტუმრო „პანორამაში" ცხოვრობდა. ყოველ დილით, ალიონზე დგებოდა და მთებზე „სალაშქროდ" დადიოდა.

— აქ სალაპარაკოდ აქვთ ბოტვინიკის დილის ხეირნობა, — მითხრა ნონამ.

ყველას უკვირდა, რომ ბოტვინიკი წვიმაშიც (სკოპლეში კი ხშირად წვიმდა) არ ღალატობდა ჩვეულებას. ზოგიერთი ოლიმპიელი მის საცქერად ადრე დგებოდა.

— გაგვიცა ამ კაცმა, — თქვა დიდოსტატმა ო'კელიმ. — ნებისყოფაც ასეთი უნდა. მეც ვვარჯიშობ, მაგრამ ბოტვინიკთან ვერ მოვალ.

ამ საუბარმა გამახსენა ბოტვინიკთან ჩემი შეხვედრა მოსკოვში, ამ გაზაფხულზე, საკავშირო ოლიმპიადის საზეიმო გახსნის წინ. იგი გამხდარი მეჩვენა და ვკითხე:

— რატომ გამხდარხართ ასე?

— დავხტივარ.

— ?!

— ვერ მიხვდით? სახლთან ახლოს ბაღი არა მაქვს, ამიტომ ყოველ დილით რბენის მაგიერ 150-ჯერ ვხტები რიგრიგობით მარჯვენა და მარცხენა ფეხზე, — თქვა ბოტვინიკმა. მერე იქვე მიჩვენა, როგორ ხტუნავდა.

როცა ერთმანეთს დავცილდით, ჩემთან რამდენიმე დიდოსტატი მოიჭრა.

— რა უთხარით ამ დარბაისელ კაცს, რომ თქვენს წინ ხტუნავა დაწყებინეთ? — სიცილით მკითხეს მათ.

მეც გამეცინა.

ჩვენი მოკეთე

— როცა გავიგე ოლიმპიადაზე „ლელოს" კორესპონდენტია ჩამოსულიო, მყისვე თქვენს გახაცნობად მოვედი, — ახე დამიწყო საუბარი გამოჩენილმა შვედმა საჭადრაკო კომპოზიტორმა ა. ჰილდებრანდმა. — 1961 წელს „ლელოს" საერთაშორისო კონკურსში უტიუდებში ჯილდო მაქვს მიღებული. ვიცნობ გია ნადარეიშვილს, ვაჟა ნეიძეს, მინახავს რევაზ თავარიანის ამოცანები, ვლიმირ კალანდაძის ეტიუდები. ეკითხეთ, რომ კალანდაძემ წიგნიც გამოსცა.

მესიამოვნა, რომ ხანდაზმული შვედი კომპოზიტორი თბილისელ კოლეგებს იცნობდა. სხვათა შორის, ჰილდებრანდი კარგი რუსულით ლაპარაკობდა.

— გაგონილი მაქვს, რომ ქართველებს ომამდე შესანიშნავი პრობლემისტი გყავდათ. ოღონდ ძნელი წარმოსათქმელი გვარი ჰქონდა.

— დობორჯგინიძეზე ხომ არ ლაპარაკობთ?

— დიახ, მასზე. მისი ამოცანები მინახავს.

ახლა უკვე ჩემი ჯერი დადგა. ვთხოვე, რაიმე თუ იცით, ან უცხოურ საჭადრაკო ჟურნალებში წაგიკითხავთ ამ ქართველი პრობლემისტის შესახებ, შეგვატყობინეთ-მეთქი.

— აუცილებლად, ოღონდ სწორად ჩამაწერინეთ მისი გვარი. აუცილებლად გადავხედავ 30-ანი წლების ჟურნალებს.

შვედ კომპოზიტორს მერეც შევხვედით რამდენიმეჯერ. მას აინტერესებდა, მოაწყობს თუ არა „ლელო" კიდევ ისეთ დიდ კონკურსს, როგორშიც მან თავი ისახელა.

ჰილდებრანდმა იცის მიიბმო, რომ კარგად იცნობს ჭაბუკ ქართველ მოჭადრაკეს კოტე კაიშაურს, რომელიც ჰოლონეთიდან შვეიცარიაში გადავიდა. ახლა კოტე უმაღლეს განათლებას ღებულობს და ბადრაკისთვის თითქმის არ სცალია. როცა სწავლაში ფეხს კარგად მოვიკიდებ, ქვლავ ვითამაშებო, უთქვამს.

სიამოვნებით ვასრულებ ჰილდებრანდის თხოვნას და შის სალამს გადავცემ ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორებს!

მაინც ვისაუბრეთ

— აუცილებლად შევხვდეთ, ვისაუბროთ, — მითხრა გამოჩენილმა იუგოსლავიელმა მოჭადრაკემ მილუნკა ლაზარევიჩმა, როცა ოლიმპიადის ერთ-ერთი ტურის დროს შევხვედი.

მილუნკა მუდამ მოუცლელი იყო. ხან თამამობდა, ხან ფიდე-ს კონგრესს ესწრებოდა. იმედი დავკარგე.

იმ დღეს „პანორამაში" ავედი, ნონა უნდა მენახა. ეს შესანიშნავი სასტუმრო, სადაც ოლიმპიადის მონაწილე საბჭოთა, იუგოსლავიელი, რუმინელი, ამერიკელი, უნგრელი და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეები ცხოვრობდნენ, მთის ფერდობზეა გაშენებული. იქიდან სკოპლე ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე.

შესასვლელში ლაზარევიჩს შევხვედი.

— კარგია, რომ განახეთ. კონგრესზე მიმეჩქარება, ვიდრე მანქანა ამოვა, ვისაუბროთ, — გამიღიმა მილუნკამ.

მიამბო, კონგრესზე ქალთა საკითხების გამო რამდენიმე ირიმის მიტანა დამჭირდაო. მთავარია დაკანონდეს, რომ ქალთა ოლიმპიადა ვაჟების ოლიმპიადასთან ერთად ტარდებოდეს, დიდოსტატის წოდების შემოღებასაც ვფიქრობთო.

— ალბათ მე და ნანა ალექსანდრიამ ჩვენი მატჩით საქართველო დიდად ავაღელვეთ, — თქვა მილუნკამ. — ორივენი სუსტად ვთამაშობდით. ვცდებოდით კიდეც. სასტუმროში ჩემი ოთახის ფანჯრები ჩინური რესტორნის ეზოში გადიოდა, ბერძების სუნი მაბრუებდა. ჭეშის მხარეს გადავსახლდი. ახლა ტრანსპორტმა შემაწუხა. ამას კიდევ ავიტანდი, მაგრამ შენობის შეკეთება დაიწყეს და ხმაურმა გული გამიწყვიტა. ხშირად გამოუძინებელი ვიყავი. ნანაც უქეიფოდ იყო, ბავშვს ელოდა. მართლა, ქალია თუ გაჟი?

— ვაჟი, გიორგი დაარქვეს.

— მიულოცეთ ჩემი სახელით. რა საინტერესოა: მსოფლიო ჩემპიონსა და მის მეტოქეებს ეუშნირს, ნანასა და მე ბიჭები გვყავს. შემთხვევითობაა ეს თუ კანონზომიერება?

ამ დროს გამოჩნდნენ ნონა და სსრ კავშირის ჩემპიონი ირინა ლევიტინა. საუბარი ახლა მალი მონაწილეობით გაგრძელდა. ვთხოვე, სამახსოვროდ სურათს გადაგიღებთ-მეთქი. ამ სურათს ღღეს ვთავაზობთ (მარჯვნიდან): ლაზარევიჩი, გაფრინდაშვილი და ლევიტინა.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სკოპლე — თბილისი.

ИНДЕКС 66438

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04625